

„კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №7, 1998 წელი, მუხ. 51) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-15¹ მუხლის მეოთხე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) საგანგებო მდგომარეობის დროს (სტიქიური მოვლენები და სხვა) და აღდგენითი სამუშაოების შესრულების შემთხვევაში, სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით ავტო-მოტო, სანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილება;“.

2. 49-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ამ კანონის მე-15¹ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად, 2008 წლის 1 იანვრამდე დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილება (არა უმეტეს 6-10 ცხ/ძ) მოტორიანი ნაეით.“

მუხლის 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი